პერსონალისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს მაგალითი

მოცემული სახელმძღვანელო პერსონალს აწვდის ინფორმაციას, რომელიც მათ სჭირდებათ მომხმარებლების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად და ეხმარება მათ, გაიგონ, როგორ გააცნონ მომხმარებელს SCA.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მოწოდებულია „როგორც არის“ და განკუთვნილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის; ის არ უნდა იქნას გამოყენებული ოპერაციული, მარკეტინგული, იურიდიული, ტექნიკური, ფინანსური, საგადასახადო ან სხვა საკითხებში რჩევის მისაღებად. თქვენ უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენს იურიდიულ მრჩეველთან, რათა განსაზღვროთ, რომელი კანონები და რეგულაციების შეიძლება ვრცელდებოდეს თქვენს სპეციფიკურ გარემოებებზე. ნებისმიერი რეკომენდაციის ან პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული რეალური ხარჯები, დანაზოგები და სარგებელი შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულად თქვენი ბიზნესის საჭიროებების და პროგრამის მოთხოვნების მიხედვით. საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, რეკომენდაციები არ იძლევა მომავალი პერფორმანსის ან შედეგების გარანტიას და ექვემდებარება რისკებს, გაურკვევლობებსა და დაშვებებს, რომელთა პროგნოზირება ან რაოდენობრივი შეფასება რთულია. Visa არ აგებს პასუხს თქვენს მიერ აქ მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე (მათ შორის, ნებისმიერ შეცდომაზე, გამოტოვებაზე, უზუსტობაზე ან ნებისმიერი სახის არა დროულობაზე) ან თქვენს მიერ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით გაკეთებულ დაშვებებსა და დასკვნებზე. Visa არ იძლევა არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, და კატეგორიულად უარყოფს გარანტიებს გასაყიდად ვარგისიანობაზე ან კონკრეტული მიზნისთვის შესაბამისობაზე, აგრეთვე ნებისმიერ გარანტიას ნებისმიერი მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არდარღვევის შესახებ. ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, Visa არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის ან ნებისმიერი მესამე მხარის წინაშე ნებისმიერ ზარალზე არცერთი სამართლებრივი თეორიის მიხედვით, მათ შორის (და არა მხოლოდ) ნებისმიერ განსაკუთრებულ, არაპირდაპირ, შემთხვევით ან სადამსჯელო ზარალზე, არც ბიზნესის მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის შეჩერებაზე, ბიზნესის ინფორმაციის დაკარგვაზე ან სხვა ფინანსურ ზარალზე, თუნდაც ამგვარი ზარალის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყოს.
როგორ ევოლუციური ეკოსისტემის ახალი მარეგულირებელი ჩარჩო, SCA-ს მოთხოვნები ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს Visa-ს მოსაზრებების ევოლუციას, მაგრამ არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც საბოლოო პოზიცია ან იურიდიული რჩევა და ის ექვემდებარება ცვლილებას შესაბამისი ორგანოების მითითებებისა და განმარტებების შესაბამისად. Visa იტოვებს უფლებას გადახედოს მოცემულ დოკუმენტს შემდგომი მარეგულირებელი განვითარების მოლოდინში.

რა არის ეს?

SCA წარმოადგენს თქვენ ქვეყანაში ამოქმედებული ახალი კანონების ნაწილს. ამ კანონებს შემოაქვთ უსაფრთხოების ნორმები, რომლებიც ცნობილია როგორც ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია, რათა მომხმარებლებისთვის უზრუნველყონ კიდევ უფრო უსაფრთხო ონლაინ გადახდის პროცესი. ახალი ცვლილებების მიზანია, მომხმარებლებმა და ბიზნესებმა Visa ბარათებით გადახდის პროცესში თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ. ეს ცვლილება მოიცავს მთელს ინდუსტრიას.

როგორ მუშაობს ჩვენთან შეძენისას?

როდესაც მომხმარებელი იხდის თავისი Visa ბარათი, მას შეიძლება მოუწიოს უსაფრთხოების დამატებითი პროცესის გავლა, რათა დაადასტუროს თავისი იდენტობა ბანკის მიერ შერჩეული ავთენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით. ეს ე.წ. ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციაა, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვემოთ მოცემული მინიმუმ ორი განსხვავებული კატეგორიიდან:

ცოდნა – მაგალითად, პაროლი;

ფლობა – მაგალითად, მობილური ტელეფონი ან სხვა მოწყობილობა;

თანდაყოლილი – მაგალითად, თვალის სკანირება, სახის ამოცნობა ან თითის ანაბეჭდი.